ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2024 წლის 20 აგვისტო

ქ. ამბროლაური

,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №31 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 21/12/2023წ.; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016572) დამტკიცებულ დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) განსაზღვრავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბავშვებზე – (მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე-დევნილებზე) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასაცემი თანხის ოდენობასა და გაცემის წესს.'';

ბ) დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში).''.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ასლან საგანელიძე